

ტექნიკური დავალება

ქალაქ ახალციხეში ყოფილი სამხედრო ბაზის რევიტალიზაციის (განვითარების) ხედვის და ქალაქის ცენტრში არსებული საპარკე ტერიტორიის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე

სარჩევი

1.	წინასიტყვაობა	3
2.	ზოგადი ცნობები ახალციხის შესახებ.....	3
3.	წინაპირობები.....	3
4.	შესყიდვის მიზანი	4
5.	ზოგადი მეთოდოლოგიური მითითებები და სახელმძღვანელო პრინციპები	5
6.	შესასრულებელი სამუშაოები	5
7.	ყოფილი სამხედრო ბაზის რევიტალიზაციის (განვითარების) ხედვის დოკუმენტაცია.....	6
7.1	ტერიტორიის აღწერა, დაგეგმვის წინაპირობები და ამოცანები.....	6
7.2	ტერიტორიის განვითარების ზოგადი მოთხოვნები.....	6
7.3	დაინტრესებულ მხარეებთან თანამშრომლობა	7
7.4	შესარულებელი სამუშაო და ეტაპები.....	8
7.5	წარმოსადგენი დოკუმენტაცია (გრაფიკული ნაწილი).....	9
8.	საქალაქო პარკის საპროექტო დოკუმენტაცია	11
8.1	ტერიტორიის აღწერა, დაგეგმვის წინაპირობები და ამოცანები.....	11
8.2	ტერიტორიის განვითარების ზოგადი მოთხოვნები.....	11
8.3	შესარულებელი სამუშაო და ეტაპები.....	12
8.4	წარმოსადგენი დოკუმენტაცია.....	12
9.	გასაწევი მომსახურებების რიგითობა და გრაფიკი	15
10.	წარმოსადგენ გეო-ინფორმაციულ მასალებთან დაკავშირებული ტექნიკური მოთხოვნები	15
11.	დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმა და პირობები	16
12.	პრეტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	16

1. წინასიტყვაობა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) ხელმძღვანელსა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ქალაქში ყოფილ საბჭოთა სამხედრო ბაზის რევიტალიზაციის პროცესში დახმარების გაწევას ითვალისწინებს. ტერიტორიის ნაწილი 2019 წელს გადავიდა სახელმწიფო საკუთრებიდან მუნიციპალურ საკუთრებაში, GGLD ფინანსური გრანტი მოიცავს ტერიტორიის განვითარების ხედვისა და პროექტის დამუშავებას, არსებული დაზიანებული შენობების დემონტაჟს ტერიტორიის სამომავლო განვითარების მიზნით.

2. ზოგადი ცნობები ახალციხის შესახებ

ახალციხის მუნიციპალიტეტი, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს ქალაქი ახალციხე, მდებარეობს სამხრეთ საქართველოში და შედის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მხარეში. ახალციხის მუნიციპალიტეტი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაჯვარედინია, ქალაქ ახალციხეს კვეთს ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები როგორცაა: ხაშური-ახალციხე-ვალეს (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზა და ახალციხე-ნინოწმინდის (სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზა, აგრეთვე ხაშური - ვალეს 91 კმ.-იანი სარკინიგზო მაგისტრალის 36,6 კმ.-იანი მონაკვეთი. ამდენად, ახალციხის სტრატეგიული მნიშვნელობა დიდია. მუნიციპალიტეტის დაშორება თბილისამდე – 207 კმ, ბათუმამდე – 168 კმ, სომხეთის საზღვრამდე (ს.გ.პ. "ნინოწმინდა") – 89 კმ და თურქეთის საზღვრამდე (ს.გ.პ. "ვალე") – 12 კმ.

ქალაქი ახალციხე მდებარეობს ახალციხის ქვაბულში, მდინარე ფოცხოვის (ფოცხოვისწყალი) ორივე ნაპირზე, ზღვის დონიდან 1000 მეტრზე. ახალციხეში მთის სტეპების ჰავაა. დამახასიათებელია მცირეთოვლიანი ზამთარი და ხანგრძლივი, თბილი ზაფხული. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -3,8 °C, აგვისტოსი - 20,5 °C.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ქალაქ ახალციხეში ფიქსირდება 17 903 მოსახლე¹. ახალციხის ეკონომიკა, ძირითადად წარმოდგენილია ვაჭრობის, ტურიზმის, გადამამუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და მომსახურების სფეროებით.

3. წინაპირობები

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ტურიზმის ხელშეწყობა და ამ მიზნით ტურისტულად მიმზიდველი ადგილების განვითარება. მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული დაგეგმარების გათვალისწინებით, ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, აქტიურად შეუწყობს ხელს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და უკეთესი საცხოვრებელი გარემოს ფორმირებას.

ამასთან, ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის“ (2020, იანვარი)² მიხედვით, ახალციხის მუნიციპალიტეტი განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურითა და დივერსიფიცირებული მეწარმეობით მიმზიდველი ადგილია სტუმრობის, სამუშაოდ და ბიზნესის საკეთებლად. ეკონომიკური ხედვის მისაღწევად განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მთავარი მიზნები: ტურისტული

¹ წყარო <https://www.akhaltsikhe.gov.ge/ge/mosaxleobis-raodenoba-da-urbanuli-gadanacileba>

² წყარო <https://www.akhaltsikhe.gov.ge/ge/bunbrivi-resursebi>

ინფრასტრუქტურის განვითარება, ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, სამეწარმეო უნარების განვითარება.

მიზნების მისაღწევად დაისახა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის ქ. ახალციხეში საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი სკვრებისა და პარკების მოწყობა.

4. შესყიდვის მიზანი

შესყიდვის მიზანს წარმოადგენს ქალაქ ახალციხეში ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტებისათვის მიმზიდველი გარემოს ფორმირება და საზოგადოებრივი სივრცეების ახალი ფუნქციებით განვითარება.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, წინამდებარე ტექნიკური დავალება განსაზღვრავს მოთხოვნებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ტერიტორიის:

I) რუსთაველის ქუჩა N 124-ში მდებარე, ყოფილი სამხედრო ბაზის (საკადასტრო კოდი: 62.09.60.656-ის ნაწილზე და 62.09.60.655; 62.09.53.807) ტერიტორიის რევიტალიზაციის (განვითარების) ხედვის დოკუმენტის შემუშავებისათვის, რომლის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს მრავალფუნქციური, საზოგადოებრივი სივრცის შექმნა სარეკრეაციო, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო, გასართობი, კვების და სავაჭრო ფუნქციებით.

II) ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: 62.09.54.762) საქალაქო პარკისთვის დეტალური პროექტის შემუშავებისთვის, საქართველოს კანონმდებლობის, დამკვეთთან/მუნიციპალიტეტთან შეთანხმებული მეთოდოლოგიისა და წინამდებარე ტექნიკური დავალების შესაბამისად.

5. ზოგადი მეთოდოლოგიური მითითებები და სახელმძღვანელო პრინციპები

- ბუნებრივი და ადამიანის მიერ სახეშეცვლილი გარემოს, ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ტურისტული, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის ჰარმონიული განვითარება;
- ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარებისათვის თანაბარი წინაპირობების შექმნა;
- მოსახლეობისთვის კომფორტული, ჯანსაღი, ინკლუზიური, უსაფრთხო, სხვადასხვა აქტივობებით და ფუნქციებით დატვირთული გარემოს შექმნა.
- დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში საჯაროობის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და თანამონაწილეობის უზრუნველყოფა;

გეგმარებითი გადაწყვეტილებები უნდა ეყრდნობოდეს ტერიტორიის განვითარების პოტენციალის კომპლექსურ შესწავლას (ფუნქციურ-გეგმარებითი, სოციო-ეკონომიკური გარემოს კვლევა და სხვ.) და მის საფუძველზე დამუშავებულ ერთიან კონცეფციას, რასთანაც შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი მიმდინარე ქალაქმშენებლობითი პროცესები. რევიტალიზაციის (განვითარების) ხედვის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ტერიტორიაზე გაცემული სამშენებლო ნებართვები, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები. ტერიტორიების განვითარების შეთავაზება უნდა ეყრდნობოდეს მიზანშეწონილობის ანალიზს, ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, როგორც სამშენებლო განვითარების, ასევე, სატრანსპორტო, საინჟინრო ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვის კუთხით, რათა თავიდან იქნას აცილებული გარემოს ხარისხის გაუარესება, საინჟინრო ინფრასტრუქტურის და მუნიციპალური სერვისების გაზრდილი ხარჯები. გადაწყვეტები უნდა იყოს მუნიციპალიტეტისთვის ფინანსურად განხორციელებადი.

6. შესასრულებელი სამუშაოები

I ნაწილი: ყოფილი სამხედრო ბაზის რევიტალიზაციის (განვითარების) ხედვის დოკუმენტაცია;

ა) წინასაპროექტო კვლევა³;

ბ) ტერიტორიის განვითარების კონცეფციის (ხედვის) მინიმუმ ორი ალტერნატივა და თითოეული ალტერნატივისთვის ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასაბუთების მომზადება.

II ნაწილი: საქალაქო პარკის საპროექტო დოკუმენტაცია:

ა) ტერიტორიის წინასაპროექტო კვლევა, კონცეფციის დამუშავება და ესკიზური პროექტის წარდგენა;

ბ) არქიტექტურული პროექტირება და სექტორული გეგმების მომზადება;

გ) საბოლოო დეტალური პროექტის დამუშავება.

³ საჭიროების შემთხვევაში გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ სკრინინგის დოკუმენტაციის მომზადება.

I ნაწილი

7. ყოფილი სამხედრო ბაზის რევიტალიზაციის (განვითარების) ხედვის დოკუმენტაცია

7.1 ტერიტორიის აღწერა, დაგეგმვის წინაპირობები და ამოცანები

საპროექტო არეალი მდებარეობს ქ. ახალციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, რუსთაველის ქუჩის N 124-ში, (ს/კ 62.09.60.656- ნაწილზე 5700 კვ.მ; ს/კ 62.09.60.655 - 18 413 კვ.მ; 62.09.53.807- 13 441 კვ.მ) ჯამური ფართობი შეადგენს 37 554 კვ.მ-ს. ტერიტორიას რუსთაველის და 9 აპრილის ქუჩის მხრიდან ესაზღვრება საცხოვრებელი უბანი 4-5 სართულიანი განაშენიანებით.

რევიტალიზაციის (განვითარების) ხედვის დოკუმენტის შემუშავების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს მრავალფუნქციური, საზოგადოებრივი სივრცის შექმნა სარეკრეაციო, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო, გასართობი, კვების და სავაჭრო ფუნქციებით.

საპროექტო ტერიტორია 1990–იან წლებში საქართველოს შშს სასაზღვრო პოლიციას ეკუთვნოდა, სადაც კლუბის, სასადილოს და ლაზარეთის შენობები იყო განთავსებული. წლების მანძილზე უფუნქციოდ დარჩენილი და ფაქტობრივად განადგურების პირას მისული სამხედრო ბაზა მნიშვნელოვნად აფერხებდა ქალაქის განვითარებას. 2019 წელს, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ტერიტორიის ნაწილი (39 ჰა) შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსიდან ახალციხის მუნიციპალიტეტს გადაეცა.

მუნიციპალიტეტის მიზანია მოხდეს ამ ტერიტორიის სრული ინტეგრირება ქალაქის ურბანულ სისტემაში, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის სამომავლო განვითარებას და ტერიტორიას აქცევს მიზიდულობის ცენტრად დღის ნებისმიერ მონაკვეთში, როგორც ადგილობრივი მოსახლეობითვის, ასევე, ტურისტებისთვის.

ახალციხის მერია ტერიტორიაზე გეგმავს სკვერის, ახალგაზრდული ცენტრის, ბიბლიოთეკის, კინოთეატრის, კულტურის სახლის და სპორტული კომპლექსის მშენებლობას. პირველ ეტაპზე განსახორციელებელი პროექტია 180 ბავშვზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღი, რომლის მშენებლობა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) მხარდაჭერით იგეგმება. ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, ასევე, უნდა შეიქმნას ცენტრი, სადაც მოქალაქეები მიიღებენ სხვადასხვა მომსახურებას და მოხდება ადგილობრივი მეწარმეობის ხელშეწყობა, რაც სამომავლოდ უზრუნველყოფს ქალაქის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და მუნიციპალური სერვისების განვითარებას.

7.2 ტერიტორიის განვითარების ზოგადი მოთხოვნები

ტერიტორიის განვითარება უნდა მოხდეს შემდეგი პრაქტიკული მითითებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სივრცის დაგეგმარებას ყველა ასაკობრივი და გენდერული ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით.

საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია გზის მოწყობა, რომელიც დააკავშირებს რუსთაველის ქუჩას მიმდებარე საცხოვრებელ უბანთან. ს-11 მაგისტრალთან (სკ/62.09.53.430) მდებარეობს ტბა და სარეკრეაციო სივრცე, მის მომიჯნავედ (ს/კ 62.09.53.382) დაგეგმილია ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რევიტალიზაციის (განვითარების) ხედვის შემუშავების პროცესში აუცილებელია მოხდეს ორგანული კავშირი საცხოვრებელ და რეკრეაციულ არეალებს შორის. საპროექტო ტერიტორია უნდა დაკავშირდეს ზემოთ ხსენებულ ტერიტორიებთან ე.წ „მწვანე დერეფნებით“ (რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საფეხმავლო და ველო ბილიკების მოწყობის საშუალებას საკვლევი არეალის ფარგლებში).

აუცილებელია ტბის მიმდებარე არეალი შენარჩუნდეს ერთიანი, უწყვეტი საზოგადოებრივი და სარეკრეაციო სივრცის სახით, რომელიც, თავის მხრივ, მდინარე ფოცხოვისწყლის სანაპიროს გაყოლებით საკვლევი არეალის ფარგლებში მწვანე დერეფნით დაუკავშირდება ცენტრალურ სტადიონთან არსებულ საქალაქო პარკის საპროექტო ტერიტორიას (ს/კ 62.09.54.762). დღეის მდგომარეობით, ახალციხეში, მათ შორის მდინარისპირა, საზოგადოებრივ-სარეკრეაციო სივრცეების ნაკლებობაა და მდინარე, თავის როლს და აქტუალურობას დღითიდღე კარგავს. მნიშვნელოვანია რევიტალიზაციის ხედვის დოკუმენტში გათვალისწინებულ იქნას მდინარის სანაპიროებზე საზოგადოებრივი სივრცეების ფორმირება და მდინარესა და მის შემოგარენს შორის დაკარგული კავშირის აღდგენა (იხ.დანართი 1).

პროექტანტმა, ასევე, უნდა მოახდინოს საკვლევი არეალში არსებული სოციალური ინფრასტრუქტურის შეფასება და ანალიზი. ამასთანავე, საპროექტო გადაწყვეტა უნდა იყოს რეალისტური და დასახული ამოცანები მიღწევადი.

7.3 დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა

ქ. ახალციხის მერიის წარმომადგენლებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან, კერძო სექტორთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან საპროექტო წინადადების წარდგენას და განხილვ(ებ)ის ორგანიზება;

საჭიროების შემთხვევაში ჩატარებული განხილვ(ებ)ის ფარგლებში გამოვლენილი შენიშვნებისა და მოსაზრებების საფუძველზე კონცეფციის დოკუმენტციის კორექტირება ახალციხის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით.

7.4 შესასრულებელი სამუშაო და ეტაპები

შესასრულებელი სამუშაო მოიცავს ორ ეტაპს:

I ეტაპზე უნდა განხორციელდეს წინასაპროექტო კვლევა. II ეტაპზე უნდა მომზადდეს ტერიტორიის განვითარების კონცეფციის (ხედვის) მინიმუმ ორი ალტერნატივა, თითოეული შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებებით. (იხ. დანართი 2).

II ეტაპის ბოლოს, ახალციხის მუნიციპალიტეტთან და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისა და განხილვების შედეგად, ახალციხის მერიის მიერ შერჩეული იქნება საუკეთესო ალტერნატივა. სცენარი შეირჩევა განვითარების განხორციელებადობის, ხარჯთეფექტურობის, საჯარო და სარეკრეაციო სივრცეების სისტემებით უზრუნველყოფისა და გეგმარებითი გადაწყვეტების შეფასების საფუძველზე.

I ეტაპი: წინასაპროექტო კვლევა შედგება ტექსტური და გრაფიკული ნაწილებისგან რაც მოიცავს ფუნქციურ-გეგმარებითი, სოციო-ეკონომიკური, სამართლებრივი და ბუნებრივი გარემოს კვლევას, მათ შორის:

- საკვლევ არეალში ღია საჯარო და სარეკრეაციო სივრცეების მდებარეობის იდენტიფიცირება და დახასიათება-ანალიზს;
- საკვლევ არეალში საფეხმავლო მისაწვდომობის ანალიზს - შესაბამისი რუკების მომზადებას, რომელიც აჩვენებს წვდომას სოციალურ ინფრასტრუქტურაზე;
- საკვლევ არეალში სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების (განათლების, ჯანდაცვის, სპორტის, კულტურის და ა.შ.) შესახებ მონაცემების ანალიზს;
- საკვლევ არეალში სარეკრეაციო ტერიტორიების სამომავლო კავშირების დაგეგმარების უზრუნველსაყოფად შესაბამისი საკადასტრო მიწის ნაკვეთების საკუთრების ფორმების (მუნიციპალური, სახელმწიფო, კერძო და ა.შ.) და არსებული გამოყენებების იდენტიფიკაცია-ანალიზს;
- საკვლევ არეალში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა-ანალიზის;
- საკვლევ არეალში ბუნებრივი გარემოს, ზოგადი გეოლოგიური და კლიმატური პირობების შესწავლა-ანალიზს;
- სკვლევ არეალში პირველადი ინფორმაციას სასმელი წყლითა და ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელებთან მიერთებასთან დაკავშირებით (ძირითადი ქსელების ფიზიკური მდგომარეობის და არსებული სიმძლავრეების შეფასებას).
- საპროექტო არეალში განახლებული ტოპოგრაფიული გეგმის საფუძველზე, ტერიტორიის საბაზისო (საყრდენი) გეგმის შემუშავებას, არსებული შენობა-ნაგებობების, გზების და ხე-ნარგავების ჩვენებით;
- საპროექტო ტერიტორიის ფოტოფიქსაციას;
- საპროექტო ტერიტორიაზე ხე-ნარგავების მდებარეობის იდენტიფიცირება ტოპოგრაფიული გეგმის საფუძველზე (წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-ნარგავების მითითებით);
- არსებული ეკონომიკური აქტივობების მდებარეობის განსაზღვრას და ზოგად დახასიათებას, მათ შორის ინფორმაციას მათი მოცულობის, მომხმარებელთა არეალის, შესახებ და SWOT ანალიზის და შედეგებს.

II ეტაპი: ტერიტორიის განვითარების მინიმუმ ორი კონცეფციის (ხედვის) და თითოეული ალტერნატივისთვის ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასაბუთების მომზადება მოიცავს:

კონცეფცია:

- განმარტებითი ბარათი - ტერიტორიის განვითარების დაზუსტებული მიზნების და ამოცანების, განვითარების მოსალოდნელი შედეგების,მეთოლოგიის, საპროექტო და არსებული და სარეკრეაციო

სივრცეებთან კავშირშირების საპროექტო გადაწყვეტების, განსახორციელებელი ქმედებების და საპროექტო წინადადების აღწერა/ დასაბუთებით.

- ტერიტორიის ფუნქციური ზონირების გეგმის მომზადებას კონცეფციის სცენარების მიხედვით;
- საპროექტო ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების განთავსების სქემას სართულიანობის, სიმაღლის და დაგეგმილი ფუნქციების მითითებით. (სცენარებში გათვალისწინებული უნდა იქნას ს/კ 62.09.60.656-ზე მშენებარე და სარეაბილიტაციო ობიექტები და მათი ფუნქციები).
- ტერიტორიის დენდროლოგიური გეგმის კონცეფციის მომზადებას;
- საინჟინრო ინფრასტრუქტურის პოტენციალის ზოგად შეფასებას საპროექტო გადაწყვეტილების შესაბამისად;
- ტერიტორიის განვითარების რიგითობის გეგმას - ფაზების/ეტაპების მითითებით;
- საპროექტო წინადადების 3D ვიზუალიზაციას, საკვანძო ხედების ჩვენებით და საპროექტო გადაწყვეტების ფოტომონტაჟის მომზადებას.

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება (Feasibility Study):⁴

- ტერიტორიის განვითარების მიზნების და ამოცანების დაზუსტებას;
- კონცეფციით გათვალისწინებული განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების იდენტიფიცირებას;
- თითოეული ალტერნატივის (სცენარის) ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის მომზადებას და შედარებას;
- პროექტის განხორციელების კალენდარულ და ფინანსური გრაფიკს.

7.5 წარმოსადგენი დოკუმენტაცია (გრაფიკული ნაწილი)

I ეტაპი: წინასაპროექტო კვლევის მომზადება:

- სიტუაციური გეგმა;
- საკვლევ არეალში საჯარო და სარეკრეაციო სივრცეების გეგმა, მასშტაბი 1:5000;
- საკვლევ არეალში საფეხმავლო მისაწვდომობის რუკა (რომელიც აჩვენებს წვდომას სოციალურ ინფრასტრუქტურაზე), მასშტაბი 1:5000;
- საკვლევ არეალში სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რუკა 1:5000;
- საკვლევ არეალში სარეკრეაციო ტერიტორიების სამომავლო კავშირების დაგეგმარების უზრუნველსაყოფად შესაბამისი საკადასტრო მიწის ნაკვეთების საკუთრების ფორმების (მუნიციპალური, სახელმწიფო, კერძო და ა.შ.) მასშტაბი 1:5000;
- საკვლევ არეალში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რუკა, მასშტაბი 1:5000;
- საკვლევ არეალში საინჟინრო ინფრასტრუქტურის რუკა (ელ.მომარაგება, წყალსადენის, წყალანირება, სანიაღვრე) მასშტაბი 1:5000;
- საპროექტო მიწის ნაკვეთების საკადასტრო რუკა, მასშტაბი 1:1000;

⁴ კონცეფციის (ხედის) თითოეული ალტერნატივის (სცენარის) შესაბამისად

- საპროექტო ტერიტორიის ფოტო ფიქსაციის სქემა. მასშტაბი 1:1000;
- საპროექტო ტერიტორიაზე ხე-ნარგავების ლოკალიზების გეგმა (წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-ნარგავების მითითებით), მასშტაბი 1:1000;
- საპროექტო ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების სართულიანობის და სიმაღლეების გეგმა, მასშტაბი 1:1000;

II ეტაპი: საპროექტო ტერიტორიის განვითარების კონცეფცია (ხედვა):

- სიტუაციური გეგმა;
- საპროექტო და არსებული რეკრეაციული სივრცეების შესაძლო კავშირების რუკა, მასშტაბი 1:5000;
- ფუნქციური ზონირების გეგმა, მასშტაბი 1:1000;
- შენობა-ნაგებობების განთავსების სქემა სართულიანობის, სიმაღლის და დაგეგმილი ფუნქციების მითითებით, მასშტაბი 1:1000;
- ტერიტორიის დენდროლოგიური გეგმა და სპეციფიკაციები, მასშტაბი 1:1000;
- საინჟინრო ინფრასტრუქტურის (ელ.მომარაგება, წყალსადენის და სანიაღვრე წყალანირების) გეგმა საპროექტო გადაწყვეტილების შესაბამისად, მასშტაბი 1:1000;
- ტერიტორიის განვითარების რიგითობის გეგმა - ფაზების/ეტაპების მითითებით, მასშტაბი 1:1000;
- საპროექტო წინადადების 3D ვიზუალიზაცია, საკვანძო ხედების ჩვენებით (მინიმუმ 10 ცალი რენდერი) და არსებულ განაშენიანებაში საპროექტო გადაწყვეტების ფოტომონტაჟის მომზადება (მინიმუმ 4 ფოტომონტაჟი).

დანართი 1

II ნაწილი

8. საქალაქო პარკის საპროექტო დოკუმენტაცია

8.1 ტერიტორიის აღწერა, დაგეგმვის წინაპირობები და ამოცანები

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. ახალციხის ცენტრალური სტადიონის და N2 საჯარო სკოლის მომიჯნავედ (საკადასტრო კოდი: 62.09.54.762), რომლის ფართობი შეადგენს 28 000 კვ.მ-ს, ტერიტორიის მიმდებარე არეალი ძირითადად გაშენებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით. რელიეფის ნიშნულების სხვაობიდან გამომდინარე, ქალაქის ცენტრს საპარკო არეალთან აკავშირებს რუსთაველის ქუჩიდან საფეხმავლო ბილიკი, ხოლო სამანქანო გზით მოხვედრა შესაძლებელია გვარამაძის ქუჩიდან. (იხ.დანართი 3).

საპროექტო ტერიტორიაზე პრაქტიკულად სწორი რელიეფია, რაც პროექტირების სტადიაზე არ წარმოქმნის დამატებით სირთულეებს. პარკის ტერიტორიაზე მაქსიმალურად შენარჩუნებულია არსებული ხე ნარგავები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ბუნებრივ ფასეულობათა სისტემის დაცვა და მაქსიმალურად სარეკრეაციო და დასასვენებელი ფუნქციის განვითარება. დღევანდელი მდგომარეობით ახალციხეში სარეკრეაციო სივრცეების ნაკლებობაა, შესაბამისად, ცენტრალურ ნაწილში აღნიშნული პარკის მოწყობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქისთვის.

8.2 ტერიტორიის განვითარების ზოგადი მოთხოვნები

ტერიტორიის განვითარება უნდა მოხდეს შემდეგი პრაქტიკული მითითებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სივრცის დაგეგმარებას ყველა ასაკობრივი და გენდერული ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით. უსაფრთხოების სუბიექტური შეგრძნების უზრუნველყოფით, პარკის ტერიტორიაზე მარტივი ორიენტაციისათვის გასაგები და აღქმადი მანიშნებლების დიზაინით, კარგი განათებით (ძირიად ბილიკებზე მოეწყოს ღამის განათება) და სივრცის მაქსიმალური ხილვადობით, სხვადასხვა ასაკის ჯგუფისთვის აქტიური და პასიური დასვენების სივრცის შექმნით (რელაქსაციისთვის და სპორტული აქტივობებისთვის განკუთვნილი ადგილები).

პარკის საპროექტო გადაწყვეტები უნდა ეყრდნობოდეს უნივერსალური ურბანული დიზაინის პრინციპებს და შესაბამისად, სრულად უნდა იყოს ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის/გადაადგილების მქონე პირებისთვის.

ქალაქის ცენტრიდან პარკის ტერიტორიაზე გაუმჯობესებული წვდომადობის კუთხით და ასევე, ტურისტული მარშრუტის შექმნის მიზნით, მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს თამარ მეფის ქუჩიდან საფეხმავლო ბილიკის მოწყობა.

პარკში უნდა განთავსდეს თანამდროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ფასიანი (მომსახურე პერსონალის გარეშე) ეკო/ბიო რეტერატები (შესაბამისად განისაზღვროს მოდელი და ლოკაცია). საპროექტო გადაწყვეტილებებმა უნდა უზრუნველყონ მოვლა-პატრონობის ხარჯების ოპტიმალურობა;

ძირითადი მოსაპირკეთებელი მასალების შერჩევასა, ვიზუალური ესთეტიკის მიღწევის მიზნით სასურველია გათვალისწინებულ იქნას არსებულ გარემოსთან და ლანდშაფტთან ჰარმონიული თავსებადობა. მასალების შეირჩეს ახალციხის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების საფუძველზე. გამოყენებული მასალები არ უნდა ახფდენდეს გარემოზე მავნე ზემოქმედებას. პარკის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრის ან/და გადარგვის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამის სამსახურებთან ნებართვა.

8.3 შესარულებელი სამუშაო და ეტაპები

შესასრულებელი სამუშაო მოიცავს სამ ეტაპს:

I ეტაპი - ტერიტორიის წინასაპროექტო კვლევა, კონცეფციის დამუშავება და ესკიზური პროექტის წარდგენა;

II ეტაპი - არქიტექტურული პროექტირება და სექტორული გეგმების მომზადება;

III ეტაპი - საბოლოო დეტალური პროექტის დამუშავება.

8.4 წარმოსადგენი დოკუმენტაცია

I ეტაპი: მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პროექტის ტექნიკური და ეკონომიკური დასაბუთება, შესაძლო პრობლემებისა და რისკების ანალიზი, პროექტის პარამეტრებისა და მასშტაბების, განხორციელების სავარაუდო მეთოდის და გრაფიკის განსაზღვრით.

წინასაპროექტო კვლევა უნდა მოიცავდეს:

- ტერიტორიის ტოპო-გეოდეზიური კვლევას მასშტაბი 1:500- 1:1000; (მასშტაბი დაზუსტდეს დაგეგმარების საჭიროებიდან გამომდინარე);
- განახლებული ტოპოგრაფიული გეგმის საფუძველზე საპროექტო ტერიტორიაზე ხე-ნარგავების ჩვენებას (წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-ნარგავების მითითებით);
- დენდროლოგიური კვლევას - საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მცენარეების მდგომარეობის შესწავლას;
- ტერიტორიის ფოტოფიქსაციას;
- პირველადი ინფორმაციას ტერიტორიის სასმელი წყლითა და ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელებთან მიერთებასთან დაკავშირებით.

კონცეფცია და ესკიზური პროექტი უნდა მოიცავდეს:

- პარკის გენერალური გეგმას (ფუნქციური ზონირებით), რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მომხმარებელთა სხვადასხვა გდენდერეული და ასაკობრივი, კულტურული და სოციალური ჯგუფების საჭიროებებს;
- განმარტებითი ბარათს-კონცეფციის და საპროექტო გადაწყვეტების აღწერილობით;
- საპროექტო წინადადების 3D ვიზუალიზაციას, საკვანძო ხედების ჩვენებით (მინიმუმ 10 ცალი რენდერი) და არსებულ განაშენიანებაში საპროექტო გადაწყვეტების ფოტომონტაჟის მომზადებას (მინიმუმ 4 ფოტომონტაჟი);

II ეტაპი: არქიტექტურული პროექტირება და სექტორული გეგმების მომზადებისას მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

- არქიტექტურული ნაწილის - დეტალური ნახაზების მომზადება;
- ტერიტორიის დენდროლოგიური გეგმის მომზადება;
- წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ქსელის გეგმის მომზადება;
- სანიაღვრე წყალარინების ქსელის გეგმის მომზადება;
- ირიგაციის სისტემის გეგმის მომზადება;
- ელექტრომომარაგების ქსელის გეგმის მომზადება;

- გარე განათების ქსელის გეგმის მომზადება.

III ეტაპი: საბოლოო დეტალური პროექტის დამუშავებისას მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

არქიტექტურული ნაწილი:

- განმარტებითი ბარათი;
- სიტუაციური გეგმა;
- გენერალური გეგმა მასშტაბი 1:1000;
- ვერტიკალური გეგმარება;
- არქიტექტურული სამუშაო ნახაზები (გეგმები, ჭრილები, განშლები, დეტალები, კვანძები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
- არქიტექტურული მცირე ფორმების დეტალური ნახაზები: სკამი, საჩრდილობელი, ნაგვის კონტეინერი, დეკორატიული ელექტრო ბოძი და ა. შ (საჭიროების შესაბამისად).

დენდროლოგიური პროექტი⁵:

- განმარტებითი ბარათი და სპეციფიკაციები;
- ტერიტორიის დენდროლოგიური გეგმა, მასშტაბი 1:1000;

კონსტრუქციული ნაწილი⁶:

- განმარტებითი ბარათი და სპეციფიკაციები;
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები: მასშტაბი 1:100;
- კონსტრუქციული სამუშაო დეტალები, კვანძები: მასშტაბი 1:25, 1:50;

საინჟინრო ნაწილი:

- წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ქსელის გეგმა, მასშტაბი 1:200;
- სანიაღვრე წყალარინების ქსელის გეგმა, მასშტაბი 1:200;
- ირიგაციის სისტემის გეგმა, მასშტაბი 1:200;
- ელექტრომომარაგების ქსელის გეგმა, მასშტაბი 1:200;
- გარე განათების ქსელის გეგმა, მასშტაბი 1:200;
- დეტალები, კვანძები და სპეციფიკაციები მასშტაბი: 1:100, 1:50;

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი:

- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობის, ენერგო, მატერიალურ და შრომით რესურსებზე, სასაწყობო ფართებზე მოთხოვნილების შესახებ. განმარტებით ბარათში მოყვანილი იქნება აგრეთვე აუცილებელი უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებანი.
- სამშენებლო გენერალური გეგმა დროებითი შენობა-ნაგებობების (ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დროებითი შენობები, დროებითი დახურული საწყობები და ღია

⁵ ღონისძიების დონის მომზადება აღნიშნულ ტერიტორიის ვიზუალური და კლიმატური ფაქტორების გათვალისწინებით საჭიროების შემთხვევაში არსებულ მცენარეების გადარჩევით

⁶ თამარმეფის ქუჩიდან საფეხვალიზობიკის მოწყობისთვის საჭიროსამუშაოებისთვის.

სასაწყობო მოედნები, დროებითი გზების, ტექნიკის სამანევრო მოედნები, დროებითი ელექტრო და წყალსადენის ქსელები, ტერიტორიის განათება და სხვ. ჩვენებით.

- ობიექტის მშენებლობის კალენდარული და ფინანსური გრაფიკი.

სახარჯთაღრიცხვო ნაწილი⁷:

- სახარჯთაღრიცხვო ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს სამშენებლო ობიექტის სატიტულო სიას, გამოყენებული დოკუმენტების ჩამონათვალს და ინფორმაციას დანარიცხების გაანგარიშების წესის შესახებ;
- ლოკალური ხარჯთაღრიცხვები შესრულებული გამარტივებული და რესურსული მეთოდით;
- მშენებლობის კრებსითი ხარჯთაღრიცხვა.

ტექნიკური სპეციფიკაციები:

პროექტს ცალკე უნდა დაერთოს და უნდა მოიცავდეს სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის/კონტრაქტორისათვის ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობა-დანადგარებისათვის, სამუშაოთა შესრულების/გამოცდის მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისთვის.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მის მიერ შესრულებული პროექტის შესაბამისად წარმოებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობის ღონისძიებები და საჭიროების შემთხვევაში ახალციხის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით პროექტში შეიტანოს კორექტირებები.

⁷ სრული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოზიდვას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია სამშენებლო კომპანიის შესარჩევი ტენდერის ჩატარება და სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება. პროექტს ცალკე უნდა დაერთოს და მოიცავდეს სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის/კონტრაქტორისათვის ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებულ მასალებისა და მოწყობილობა-დანადგარებისათვის, სამუშაოთა შესრულების/გამოცდის მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისთვის.

9. გასაწევი მომსახურებების რიგითობა და გრაფიკი

გასაწევი მომსახურებების რიგითობა და გრაფიკი			
N	ეტაპი	დასახელება	ვადა
I ყოფილი სამხედრო ბაზის რევიტალიზაციის (განვითარების) ხედვის დოკუმენტაციის შედგენა			
	1	წინასაპროექტო კვლევის მომზადება	40 კალენდარული დღე (ხელშეკრულების გაფორმებიდან)
	1.1	დოკუმენტის რევიზია მუნიციპალიტეტის მხრიდან / მიღება ჩაბარების გაფორმება	15 კალენდარული დღე
	2	ტერიტორიის განვითარების მინიმუმ ორი კონცეფციის (ხედვის) და თითოეული ვერსიისათვის ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასაბუთება	30 კალენდარული დღე (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან)
	2.1	დოკუმენტის რევიზია მუნიციპალიტეტის მხრიდან / მიღება ჩაბარების გაფორმება	15 კალენდარული დღე
II საქალაქო პარკის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა			
	1	წინასაპროექტო კვლევის და კონცეფციის მომზადება	40 კალენდარული დღე (ხელშეკრულების გაფორმებიდან)
	1.1.	დოკუმენტის რევიზია მუნიციპალიტეტის მხრიდან / მიღება ჩაბარების გაფორმება	15 კალენდარული დღე
	2	არქიტექტურული პროექტირება და დენდროლოგიური პროექტის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება	30 კალენდარული დღე (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან)
	2.1	დოკუმენტის რევიზია მუნიციპალიტეტის მხრიდან / მიღება ჩაბარების გაფორმება	15 კალენდარული დღე
	3	სრული საპროექტო დოკუმენტაცია წარდგენა	30 კალენდარული დღე (ხელშეკრულების გაფორმებიდან)
	3.1	დოკუმენტის რევიზია მუნიციპალიტეტის მხრიდან / მიღება ჩაბარების გაფორმება	15 კალენდარული დღე

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ მოცემული დავალიანებით განსაზღვრული თარიღი ემთხვევა კანონმდებლობით გათვალისწინებულ არასამუშაო დღეს, აღნიშნული თარიღი გადადის მომდევნო სამუშაო დღეზე.

10. წარმოსადგენ გეო-ინფორმაციულ მასალებთან დაკავშირებული ტექნიკური მოთხოვნები

- დოკუმენტაციის გრაფიკული ნაწილი – გეგმები, რუკები და სქემები შესრულებული უნდა იყოს გეო-ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და/ან AutoCAD-ის გამოყენებით და უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე კარტოგრაფიულ/ვექტორულ სტანდარტებს;
- გეო-ინფორმაციული მასალები უნდა შეიქმნას და დამუშავდეს ArcGIS 10 ვერსიის პერსონალური გეო-მონაცემთა ბაზის ფორმატში;
- პერსონალური გეო-მონაცემთა ბაზა უნდა იყოს WGS 84\UTM 38N საქართველოს სახელმწიფო საკოორდინატო სისტემაში;

11. დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმა და პირობები

მომწოდებელი ვალდებულია სამუშაოების პროცესში იქონიოს მუდმივი კომუნიკაცია ახალციხის მუნიციპალიტეტსა და GIZ-თან ყოველი ეტაპის დასრულების შემდგომ წარუდგინოს ეტაპების შესაბამისი ანგარიშები.

ეტაპების ანგარიშები სამუშაოების შესრულების შესახებ და საბოლოო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ეტაპობრივად, დამკვეთთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ნაბეჭდ და ელექტრონულ (PDF, GIS, CAD) ფორმატში 3 ეგზემპლარად;

მოწოდებული პროდუქტი უნდა იყოს უფლებრივად (სხვათა საავტორო უფლებების დაცვით) და ხარისხობრივად უნაკლო, ამასთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ საავტორო უფლებები სრულად გადადის დამკვეთზე.

ყოველ ქვეეტაპზე და ეტაპზე ანგარიშები და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, A-4/A-3 ფორმატის, ზამზარით აკინძული, შესაბამისად გაფორმებული ალბომის სახით:

- სათაურის მითითებით;
- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;
- ალბომის შემადგენლობის მითითებით;
- პროექტის შემადგენლობის მითითებით;
- შესაბამისი ტექსტური ნაწილ(ებ)ი, A-4 ფორმატი, ფერადი;
- გრაფიკული ნაწილ(ებ)ი, შტამპით და ჩარჩოთი - A-3 ფორმატი (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული ფორმატის წარმოდგენა, ალბომში აკინძული A3 ფორმატის ზომაზე).

საბოლოო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას DVD დისკზე 3 ეგზემპლარად. DVD დისკის ზედაპირზე დაბეჭდილი უნდა იყოს კომპანიის ლოგო, პროექტის დასახელება-ეტაპი და თარიღი.

დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას GIZ-ის სათაო ოფისში. მის.: ქ. თბილისი, ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა N1ა.

12. პრეტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

- ტენდერში მონაწილეს უნდა ჰქონდეს სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილება ურბანული დაგეგმარების სფეროში ანალოგიურ პროექტებზე;
- პრეტენდენტის წინააღმდეგ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და პრეტენდენტი არ უნდა იყოს ლიკვიდაციის / რეორგანიზაციის პროცესში.
- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მინიმუმ 2 სარეკომენდაციო წერილი იმ დამკვეთ(ებ)ის მიერ გაცემული რომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და შესაბამისი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციით (მოთხოვნის შესაბამისად გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი) დასტურდება გაწეული მომსახურების გამოცდილება.

პრეტენდენტის მიერ სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებული უნდა იყოს დარგობრივი სპეციალისტებით, მათ შორის:

- არქიტექტორი / ქალაქგეგმარებელი;

- ლანდშაფტის დიზაინერი;
- დენდროლოგი;
- ეკონომისტი;
- ეკოლოგი (გამეროს დაცვის სპეციალისტი);
- ინჟინერი (საინჟინრო ინფრასტრუქტურის დარგში);
- CAD / GIS სპეციალისტი;
- წარმოდგენილი უნდა იქნას სპეციალისტთა რეზიუმეები (CV) და დარგობრივ დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დამოწმებული ცნობა შესაბამისი ორგანიზაციისაგან. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სპეციალისტთა თანხმობის წერილები.

დანართი 1

სახლავი და საკოეპო არაალბის რეა



ლეგენდა

სახლავი არაალი

საკოეპო არაალი

მისდინარე ჰროეპბის საკოეპო არაალი

მვანე დორეფანი

ყოფილი სამხედრო ბაზის საპროექტო არეალის რუკა



პარკის საპროექტო არეალის რუკა



არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა (პარკის ტერიტორია)



არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა (ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორია)

